ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის წესით საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ საფუძველზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2014 წლის 15 ივლისის №395 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. სტუდენტების რეგისტრაციის ვადად, რომლებმაც მოიპოვეს მობილობის წესით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის, განისაზღვროს 2014 წლის 26 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით;
2. რეგისტრაციისთვის სტუდენტებმა განცხადებით უნდა მიმართონ უნივერსიტეტის რექტორს (განცხადება ივსება ადგილზე. მის: ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, უნივერსიტეტის კანცელარია). განცხადებაში მითითებული უნდა იყოს იმ ფაკულტეტის/სკოლის დასახელება, რომელზეც სტუდენტი დარეგისტრირებულია ელექტრონული პორტალის მონაცემების მიხედვით და იმ საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება, რომელზეც სურს მობილობის წესით ჩარიცხვა. განცხადებას თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა)ამონაწერი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებიდან;
ბ)სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);
გ)ცნობა გაცემული შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 2014 წლის 1 აგვისტოს შემდეგ (სტუდენტის სტატუსის, გრანტის, სასწავლო პროგრამის დასახელების, სწავლის საფასურის ოდენობისა და მის მიმართ გამოცემული სამართლებრივი აქტების მითითებით);
დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);
ე)პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ვ)სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ზ)2 ცალი ფოტოსურათი 3X4 და ელ. ვერსია ელექტრონულ მატარებელზე (CD).

3. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლებს, უზრუნველყონ 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთათვის კრედიტების აღიარების დოკუმენტების მომზადება მათ მიერ გავლილი სასწავლო კურსებისა და სასურველი საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით.

4. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლებს, უზრუნველყონ კრედიტების აღიარების დოკუმენტების გაცნობა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტებისათვის და აღნიშნული სტუდენტების მიერ ამ დოკუმენტების ხელმოწერით დადასტურება.
5. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლებს, 2014 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით გააფორმონ ხელშეკრულებები 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირებთან, რომლებიც მოიპოვებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის უფლებას და თანხმობას განაცხადებენ კრედიტების აღიარების დოკუმენტებში მითითებულ პირობებზე;
6. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლებს, 2014 წლის 9 სექტემბერს მიაწოდონ უნივერსიტეტის რექტორს 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთა სია, კრედიტების აღიარების დოკუმენტებთან ერთად, რომლებმაც გააფორმეს ხელშეკრულებები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მიზნით;
7. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტის წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არაუგვიანეს 11 სექტემბრისა;
8. დაევალოთ უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს მობილობის წესით ჩარიცხულ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტების რეესტრში ასახვა არაუგვიანეს 2014 წლის 2 ოქტომბრისა;
9. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს მობილობის წესით ჩარიცხულ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტების ცენტრში წარდგენა არაუგვიანეს 6 ოქტომბრისა;
10. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლებს უზრუნველყონ მობილობის წესით ჩარიცხულ პირთა კრედიტების აღიარების დოკუმენტების ასახვა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსში“;
11. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლებს უზრუნველყონ მობილობის წესით ჩარიცხულ პირთა კრედიტების აღიარების დოკუმენტების მიწოდება არგუსის კოორდინატორის - ირინა ბაზღაძისათვის, ბრძანების გამოცემიდან სამი სამუშაო დღის ვადაში;
12. ამ ბრძანების შესრულებაზე ფაკულტეტების/სკოლების ნაწილში პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ შესაბამისი ფაკულტეტების/სკოლების დეკანები;
13. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება;
14. უნივერსიტეტის სამდივნოსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
15. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, მატერიალური რესურსების სამსახურს, სამდივნოს და არგუსის ადმინისტრატორს ცენტრალურ დონეზე- ირინა ბაზღაძეს.

რექტორი **გიგა ზედანია**